

სსო მეტრი

სამოქალაქო საზოგადოების
საარსებო გარემო აღმოსავლეთ
პარტნიორობის ქვეყნებში

საქართველოს
ანგარიში
საქართველო
2020



European Center for
Not-for-Profit Law



Funded by the European Union



ავტორები: ვაჟა სალამაძე, ქეთევან ირემაშვილი (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი/CSI)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა. 1996 წლიდან ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას და დემოკრატიის გაძლიერებას, დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის გზით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს აქვს მდიდარი გამოცდილება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერების კუთხით. CSI-ის ექსპერტები კონსულტაციას უწევენ თბილისისა და ბათუმის მერიას, იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამავრდოულად, სიესის აქვს გამოცდილება სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგის მიმართულებით და შემუშავებული აქვს არაერთი ანგარიში. CSI ასევე მუშაობს სხვადასხვა აქტორების შესაძლებლობების განვითარებისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდის კუთხით. 1996 წლიდან დღემდე CSI-იმ ტრენინგი ჩაუტარა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის რამდენიმე ათას წარმომადგენელს.

არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი ECNL Stichting არის წამყვანი ევროპული რესურს და კვლევითი ცენტრი, რომელიც მუშაობს სამოქალაქო

საზოგადოების საარსებო გარემოს კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე. ECNL Stichting ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გაერთიანდნენ და წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში. მისი საქმიანობა მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, იმოქმედონ დამოუკიდებლად, იყვნენ ფინანსურად მდგრადი, ჰქონდეთ ძლიერი მმართველობა, ჩაერთონ პოლიტიკაში და მიიღონ საზოგადოების მხარდაჭერა. პოლიტიკის შემუშავებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირების ადვოკატირების გარდა, ECNL Stichting უზრუნველყოფს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას. იგი მონიტორინგს ახორციელებს ინსტრუმენტებისა და მექანიზმების დანერგვის პროცესში, ასევე ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას კვლევებისა და ანალიზის მეშვეობით.

ავტორები გულწრფელ მადლობას უცხადებენ კონტრიბუტორებს.

საავტორო უფლება © 2020 ECNL Stichting-ისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ. ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე ცალსახა პასუხისმგებლობა ეკისრება მის ავტორებს და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველ დოკუმენტად.

სარჩევი

აბრევიატურები	4
I. მოკლე მიმოხილვა	5
II. ძირითადი მიგნებები	7
III. ძირითადი ცვლილებები	9
3.1 გაერთიანების თავისუფლება	9
3.2 თანასწორი მოპყრობა	9
3.3 დაფინანსების ხელმისაწვდომობა	9
3.4 მშვიდობიანი შეკრების უფლება	10
3.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეების უფლება	11
3.6 გამოხატვის თავისუფლება	12
3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	13
3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება	13
3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა	14
3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა	14
3.11 სხვა მიგნებები და სიახლეები	16
IV. ძირითადი პრიორიტეტები	18
V. წყაროები	20

აბრევიატურები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობა
SE	სოციალური მეწარმეობა

I. მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2019 წელს წარდგენილი ანგარიშის განახლებულ ვერსიას საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს შეფასების შესახებ. სსო მეტრი არის მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავდა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს შესაფასებლად. ინსტრუმენტი შედგება 10 სფეროს მომცველი სტანდარტებისა და ინდიკატორებისაგან, რომელიც ზომავს როგორც კანონმდებლობას, ასევე პრაქტიკას. სსო მეტრი შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "Monitoring Progress, Empowering Action" ფარგლებში და, როგორც ინიციატივა, განხორციელდა არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL Stitching) მხარდაჭერითა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სსო-ების ჩართულობით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი წარმოადგენს პროექტის პარტნიორს საქართველოდან. წინამდებარე ანგარიში მომზადდა საკანონმდებლო აქტებისა და სხვა მასალების ანალიზის საფუძველზე, მათ შორის, ექსპერტთა ინტერვიუების გამოყენებით. ანგარიში მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებსა და სიხლეებს და ასევე ძირითად პრიორიტეტებს სსო მეტრის ფოკუსში მოქცეული 10 სფეროს მიმართულებით.

სხვა ქვეყნების მსგავსად, კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში სსო-ების საქმიანობაზე. 2020 წლის პირველ ნახევარში სსო-ების საარსებო გარემო პანდემიასთან დაკავშირებული პრევენციული რეგულაციების ქვეშ მოექცა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობის ვადა 21 აპრილამდე განისაზღვრა, თუმცა ის გაგრძელებულ იქნა 22 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში დაწესებული შეზღუდვებისა და აკრძალვების გათვალისწინებით სსო-ებს დაბრკოლებები შეექმნათ შემდეგი მიმართულებით: გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა, საჯაროდ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაცია, ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გავრცელების უფლების რეალიზაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაცია, გადაადგილების თავისუფლება. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შემოღებული რეგულაციების დარღვევისათვის მკაცრი ჯარიმები და თავისუფლების აღკვეთაც კი დაწესდა. 2020 წლის აგვისტოსთვის საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაწესებული აკრძალვები უკვე მოხსნილი იყო. თუმცა, იზოლაციასთან და/ან კარანტინთან დაკავშირებული წესები დარჩა ძალაში.¹

¹ საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=31>

სსო-ების სამართლებრივ გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებები და სიახლეები სოციალური მეწარმეობის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის წარდგენასა და ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მოიცავს. მთლიანობაში სსო-ების საარსებო გარემო არ გაუარესებულა.

სსო-ების საარსებო გარემოს ძირითადი პრიორიტეტები არსებითად არ შეცვლილა. სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცების საკითხები პრიორიტეტებად რჩება. ქვეყნის ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც არსებითად 2019 წლის სსო მეტრის კვლევის დოკუმენტში ჩამოყალიბებული ხედვების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, კერძოდ:

- გრანტის გაცემის პროცედურების დახვეწა სახელმწიფო ხელისუფლების უწყებებისათვის ერთიანი საბაზისო პრინციპებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დაწესებით: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
- საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტების აღჭურვა გრანტის გაცემის უფლებამოსილებით: შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში;
- საქართველოს პარლამენტის მიერ სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონპროექტისა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ინიცირებული ცვლილებების დამტკიცება.

II. ძირითადი მიგნებები

ძირითადი მონაცემები ქვეყნის შესახებ

დედაქალაქი: თბილისი

მოსახლეობა: 3, 716, 900²

მშპ ერთ სულ მოსახლეზე: \$4,769.2 (2019)³

თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში: ნაწილობრივ თავისუფალი (61)⁴

პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი: 28.595

არასამეწარმეო ორგანიზაციების რაოდენობა: რეგისტრირებული ორგანიზაციები - 29,072, მოქმედი ორგანიზაციები - 1049⁶

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რაოდენობა 10.000 მაცხოვრებელზე: რეგისტრირებული ორგანიზაციების რიცხვი 10.000 მოსახლეზე - 78, მოქმედი ორგანიზაციების რიცხვი -3

რეგისტრაციის საფასური: 100 ლარი (დაახლოებით 27 ევრო) ერთ დღეში, 200 ლარი (დაახლოებით 55 ევრო) იმავე დღეს.

მთავარი მოვლენები, რომლებმაც გავლენა იქონიეს სამოქალაქო საზოგადოებაზე წინა ანგარიშის წარდგენის შემდეგ

სხვა ქვეყნების მსგავსად, კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში სსო-ების საქმიანობაზე. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობის ვადა 21 აპრილამდე განისაზღვრა, თუმცა ის გაგრძელებულ იქნა 22 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში დაწესებული შეზღუდვებისა და აკრძალვების გათვალისწინებით სსო-ებს დაბრკოლებები შეექმნათ შემდეგი მიმართულებებით: გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა, საჯაროდ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაცია, ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გავრცელების უფლების რეალიზაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაცია, გადაადგილების თავისუფლება. 2020 წლის აგვისტოსთვის საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაწესებული აკრძალვები უკვე მოხსნილი იყო.

² საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

³ მსოფლიო ბანკი, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=GE>

⁴ ფრიდომ ჰაუსი, <https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores>

⁵ პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი, <https://rsf.org/en/ranking>

⁶ csogeorgia.org

თუმცა, იზოლაციასთან და/ან კარანტინთან დაკავშირებული წესები დარჩა ძალაში. ⁷

მოვლენათა სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე სსო-ებს მოუწიათ არსებულ მდგომარეობასთან სწრაფად ადაპტირება. სსო-თა გარკვეულმა ნაწილმა, მოქმედების ახალ მოდელზე უმტკივნეულო და ეფექტური გადაწყობის ხარჯზე, გაზარდა მათ მიერ განხორციელებულ აქტივობათა რიცხვი და მასშტაბი. თუმცა, სსო-თა ნაწილის მუშაობა აღნიშნული ცვლილებების გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა. მთლიანობაში, სსო-ებისადმი მათი ბენეფიციარების პირდაპირი წვდომა და სსო-ების მხრიდან მყისიერი რეაგირების პროცესი შეიზღუდა.

სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტენდენციები

სსო-ების სამართლებრივ გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებები და სიახლეები სოციალური მეწარმეობის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის წარდგენასა და ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მოიცავს. მთლიანობაში სსო-ების საარსებო გარემო არ გაუარესებულა. კავკასიის ბარომეტრის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა გამოაქვეყნა, სსო-ებს გამოკითხულთა მხოლოდ 3% უცხადებს სრულ ნდობას და 17% მათ ნაწილობრივ ენდობა. აღნიშნული მონაცემები 2017 წლის მდგომარეობასთან შედარებით სსო-ების მიმართ არსებული ნდობის შემცირების ტენდენციაზე მიანიშნებს, რომლის მიხედვითაც სრულ ნდობას სსო-ებს გამოკითხულთა 4% უცხადებდა და 19% კი ნაწილობრივ ენდობოდა მათ.⁸

⁷ საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=31>

⁸ 2019 წლის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მდგრადობის ინდექსი, https://stor-age.googleapis.com/cso-si-dashbord.appspot.com/Reports/CSOSI-Georgia-2019.pdf?fbclid=IwAR1csAuP-NrNwaWxWqJ_mAlpyAaMiQUZ9J2wlp-lqTH3dPJTz23pxKurasps

III. ძირითადი ცვლილებები

წინამდებარე მონაკვეთი მოიცავს სსო მეტრის 10 სფეროს მიმართულებით არსებული სიახლეების მიმოხილვას და წინა ანგარიშში გათვალისწინებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებულ წინსვლას.

3.1 გაერთიანების თავისუფლება

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობის რეგულირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაფუძნება სწრაფ და მარტივ პროცესს წარმოადგენს. რეგისტრაციის პროცედურა გამარტივებულია როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ისე - ბიზნესისთვისაც.

3.2 თანასწორი მოპყრობა

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

რეგისტრაციის პროცედურისგან განსხვავებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია რთულია. შესაბამისად, როგორც სამეწარმეო, ისე - არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციები უმეტესწილად თავს არიდებენ ლიკვიდაციის პროცედურის გავლას. რეგულაციების თვალსაზრისით სსო-ები ბიზნესთან შედარებით არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით სარგებლობენ. თუმცა, ბიზნესის სექტორთან შედარებით სახელმწიფო ნაკლებ ინვესტიციებს ახორციელებს სამოქალაქო ორგანიზაციების მდგრადობისა და განვითარების მიმართულებით.

3.3 დაფინანსების ხელმისაწვდომობა

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სხვადასხვა სახის დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონორებისგან. ფინანსური წყაროების მოძიებისა და მიღების პროცესში სახელმწიფო სსო-ებს ბარიერებს არ უქმნის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აქვთ სახელმწიფოს მიმართ ანგარიშგების ვალდებულება, თუ ისინი არ მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას ან არ მოიპოვებენ საქველმოქმედო სტატუსს.

3.4 მშვიდობიანი შეკრების უფლება

მშვიდობიანი შეკრების უფლება პანდემიის პერიოდში შეიზღუდა; თუმცა, ზოგადი მდგომარეობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

მშვიდობიანი შეკრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. უმთავრეს საკანონმდებლო აქტს, რომელიც აღნიშნულ უფლებას განამტკიცებს წარმოადგენს საქართველოს კანონი „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ,“ რომელიც არეგულირებს აღნიშნული უფლებით სარგებლობის წესებსა და პირობებს და რომელმაც დღიდან მიღებისა არაერთი ცვლილება განიცადა. მიუხედავად ლიბერალური მიდგომისა, აღნიშნული უფლებით სარგებლობას ხშირად თან ახლავს გარკვეული გამოწვევები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ვერ უზრუნველყო პირების მიერ მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა.

მშვიდობიანი შეკრების უფლება პანდემიის პერიოდში შეზღუდულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შორის მოექცა.⁹ აღნიშნული რეგულაციებით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შეიზღუდა როგორც ზოგადად, ისე - საჯარო სივრცეში. რეგულაციების თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შეიზღუდა საგანგებო მდგომარეობის ვადით. პანდემიასთან დაკავშირებული პროცესების განვითარების შესაბამისად აღნიშნული რეგულაცია გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. 2020 წლის 30 მარტს განხორციელებული ცვლილებების პირველი ციკლის მიხედვით, საჯარო სივრცეში შეკრების მსურველ ფიზიკურ პირთა რიცხვი 10-დან 3-მდე შემცირდა. ანალოგიური წესი გავრცელდა სოციალური შინაარსის შეკრებებზეც. 2020 წლის 31 მარტს რეგულაციამ კიდევ ერთი ახალი დამატება განიცადა დახურულ სივრცეში პირბადის სავალდებულო წესით ტარების სახით. 2020 წლის 14 მაისის ცვლილებების მიხედვით, საჯარო სივრცეში შეკრების მსურველ ფიზიკურ პირთა რიცხვი გაიზარდა 10-მდე. ანალოგიური წესი გავრცელდა სოციალური შინაარსის შეკრებებზეც.

პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით ამჟამინდელი საკანონმდებლო ჩარჩო ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტის მიხედვით განისაზღვრება, კერძოდ: საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ,¹⁰ რომელიც „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე იქნა მიღებული.

⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის # 181 დადგენილება

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ,“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=o>

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ,“ <https://matsne.gov.ge/document/view/4877009?publication=71>

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს იზოლაციასა და/ან კარანტინთან დაკავშირებულ რეგულაციებს. აღნიშნული რეგულაციები ასევე მოიცავს საჯარო და დახურულ სივრცეში შეკრებასთან დაკავშირებულ აკრძალვებს.

3.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ინდივიდუალური პირებისა და სსო-ების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისთვის სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენება. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებულია, თუმცა, ხშირად მონაწილეობა ხდება „ad-hoc“. როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა პირებს აქვთ წვდომა მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებზე, როგორებიცაა: პეტიციის უფლება, კანონპროექტებზე კომენტარის წარდგენა, საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობა და ა.შ. თუმცა, მრავალი კანონი, პოლიტიკისა თუ სტრატეგიული დოკუმენტი მიიღება კონსულტაციების გარეშე. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე მოქალაქეების და სსო-ების წარმომადგენლების მხრიდან დაბალი ინტერესი მონაწილეობაში.

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის იანვარში გამოცა დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების“ შესახებ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა საქართველოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელების თაობაზე წარმატებით დასრულდა. აღნიშნული ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში 2020 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში და ითვალისწინებს რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცებასა და მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაციას. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ცალკეული ტიპის საკანონმდებლო აქტების ინიცირებისას წარადგინოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამსახველი კვლევა. ახალი სისტემის მიხედვით, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება მდგომარეობის ანალიზისა და წინასწარი შეფასების საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული პროგრესი ასევე უკავშირდება მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც მოსახლეობის ადგილობრივ მმართველობაში ჩართვის ერთ-ერთი საშუალება, თანდათან მეტ დაინტერესებას იწვევს. აღნიშნული მექანიზმი რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით,

რომელიც მისი არსებობისა და ფუნქციონირების სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს.

აღნიშნული საკითხი საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის ტრატეგიის პრიორიტეტად დასახელდა. პრაქტიკული თვალსაზრისით, პარტნიორი მუნიციპალიტეტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მონაწილეობითი ბიუჯეტის თაობაზე თანამშრომლობა გულისხმობს სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის შემუშავებას ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობითა და ადგილობრივი ადამიანური რესურსის გამოყენებით; შესაძლებლობების გაზრდას და მართვის პროცესში დახმარების გაწევას; საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერას სპეციფიკური საგრანტო კონკურსის დროს. სამოქალაქო ბიუჯეტის პრინციპები და სტანდარტები შემუშავებულ იქნა სსო-ების, ექსპერტებისა და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. აღნიშნული სტანდარტები და პრინციპები მიესადაგება მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელების პროცესებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რიგი რეგულაციები საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და აქტივისტების ჩართულობის გარეშე მიიღო. კრიტიკული მოსაზრებები გამოითქვა საქართველოს ტყის ახალი კოდექსის აღნიშნული მექანიზმის გამოყენების გარეშე მიღების თაობაზე.

3.6 გამოხატვის თავისუფლება

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს კანონმდებლობით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი რეგიონის მასშტაბით ყველაზე პროგრესულად მიიჩნევა და სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კანონი განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლების არსს, ადგენს მისი შეზღუდვების ვიწრო და ლეგიტიმურ მიზნებს და უზრუნველყოფს სათანადო გარანტიებს ამ უფლების ხელყოფის შემთხვევაში. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ჟურნალისტებისა და მამხილებელ პირთა უფლებების დაცვას. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიუძღვის. ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავისუფლად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებით. მედია გარემო საქართველოში აქტიური და პლურალისტურია, თუმცა, საკმაოდ პოლარიზებული. შეიმჩნევა წამყვან მედიასაშუალებებზე პოლიტიკური გავლენა.

საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება პანდემიის პერიოდში შეიზღუდა. არსებული ვითარების გათვალისწინებით, აღნიშნულ პერიოდში მოქალაქეების მხრიდან საჯარო ინფორმაციაზე წვდომის მოთხოვნის რაოდენობა გაიზარდა. ამის

მიუხედავად, აღნიშნულ უფლებაზე წვდომა საკმარისი დასაბუთების გარეშე შეიზღუდა. მოცემული მომენტისათვის, აღნიშნული შეზღუდვები მოხსნილია.

3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები იცავს პირებისა და დონორების შესახებ ინფორმაციის და მათ კონფიდენციალურობას. თუმცა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება რჩება გამოწვევად. 2017 წელს მიღებული რეგულაციების შედეგად, შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ახალი ზედამხედველობის სააგენტო. საკანონმდებლო ცვლილებები გახდა კრიტიკის საგანი, რადგან ახალ სახელმწიფო უწყებას მიენიჭა ფართო უფლებამოსილებები სათანადო დამოუკიდებლობის გარანტიების გარეშე. კანონით ასევე არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება სატელეკომუნიკაციო ქსელებთან წვდომის თვალსაზრისით. 2016 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ტელეკომუნიკაციის ოპერატორების ქსელთან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. სასამართლოს განმარტებით, ასეთი წვდომა დაცული მონაცემების შეუზღუდავი კონტროლის შესაძლებლობას იძლევა.

3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ დამფუძნებლებს და წევრებს აქვთ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ყველა იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გავლენას ახდენს მათ ძირითად უფლებებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სარგებლობენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით მათ მიერ ან მათ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვის დროს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების სრული დაცვა. ეს ეხება LGBTIQ თემს, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას თავდასხმებისა და მესამე პირთა ჩარევებისგან.

3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა

აღნიშნული სფეროს მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო დაფინანსების დივერსიფიცირებული და დეცენტრალიზებული სისტემა. ამ მოდელის ფარგლებში თითოეული სახელმწიფო ინსტიტუტი გასცემს დაფინანსებას თავისი მანდატის შესაბამისად. სახელმწიფო დაფინანსების/გრანტების ოდენობა შეზღუდულია და შეადგენს სსო-ების საერთო შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს; ასევე იშვიათია ინსტიტუციური მხარდაჭერა. მოქმედი სახელმწიფო დაფინანსების სისტემა არის ქაოტური და არ არის აღჭურვილი გამჭვირვალობისა და ეფექტურობის სათანადო მექანიზმებით.

სახელმწიფო ინსტიტუტუციების მიერ გრანტის გაცემის პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და მუნიციპალიტეტების გრანტის გაცემის უფლებით აღჭურვის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. აღნიშნული პაკეტის მიხედვით, ცვლილებები ინიცირებულია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზაობა პროცესის დასაწყებად, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, პაკეტის პარლამენტში წარდგენა არ მომხდარა.

„მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2015 წელს. თუმცა არ არსებობს მონაცემები ან კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენად შეუწყო ხელი კანონმა მოხალისეობის განვითარებას. მოხალისეობის, როგორც აქტიური მონაწილეობის ფორმის, მხარდასაჭერის პროცესის დასაწყების თაობაზე გამოითქვა პოლიტიკური ნება. მოხალისეობის პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინების შედეგად ახალგაზრდობის სააგენტომ თანახმობა განაცხადა, ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო სსო-ებთან ახალგაზრდობის მოხალისეობის სტრატეგიის შესამუშავებლად.

3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა

აღნიშნული სფეროს მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა.

საქართველოს მთავრობამ ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესების უწყებათა შორის დონეზე მხარდასაჭერად წინგადადგმული ნაბიჯი განახორციელა. ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესებში ჩართულია როგორც საქართველოს პარლამენტი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლება.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დიალოგის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა პლატფორმები არსებობს. კონსტრუქციული

თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითებია: მემორანდუმი პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, ღია მმართველობის პარტნიორობა, სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის EaP სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ფარგლებში. ხშირია კომიტეტების, სამუშაო ჯგუფების, საბჭოების შექმნა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. მათი მუშაობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა, თუმცა არ არსებობს ერთიანი სტანდარტები და პრინციპები საკონსულტაციო ორგანოებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც წესი, სსო-ებისა და მოქალაქეების მონაწილეობის ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტზე და თემატიკაზე.

ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მიმართულებით აღსანიშნავია სახელმწიფოს მხრიდან სსო-ების მხარდაჭერის კონცეფციის შემუშავება, რაც სსო-ების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა. კონცეფციის დოკუმენტი ითვალისწინებს სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს პარლამენტსა და სსო-ებს შორის 2013 წლის დეკემბერში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. 2015 წლიდან კონცეფციის დოკუმენტი წარმოადგენს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ნაწილს. პირველად კონცეფციის ინიცირება საქართველოს პარლამენტში 2018 წლის ნოემბერში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ საკომიტეტო მოსმენები წარმატებით მიმდინარეობდა, კონცეფციის დამტკიცება ვერ მოხერხდა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დაუღალავი მცდელობის შედეგად, კონცეფციის ხელახალი ინიცირება საქართველოს პარლამენტში 2020 წლის ივნისში განხორციელდა. აღნიშნული კონცეფცია წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს სსო-ების საარსებო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. მისი მიზანია სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, სსო-ებითვის განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი რელური მონაწილეობის უზრუნველყოფა. კონცეფციის მთავარი მიზანია სსო-ებისათვის ინსტიტუციონალურად და ფინანსურად მდგრადი საარსებო გარემოს შექმნა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სსო-ების ჩართულობის გათვალისწინება. კონცეფციის დამტკიცება კიდევ უფრო გააუჯობესებს სსო-ების საარსებო გარემოს და შექმნის უკეთეს ნიადაგს საქართველოში სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით.

ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში საქართველოს მთავრობის ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 13 თებერვალს #110 დადგენილების მიღება „საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის

დამტკიცების“ შესახებ.¹¹ აღნიშნული საბჭო შედგება მთავრობის წარმომადგენლებისგან (მინისტრის მოადგილეები, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ხელმძღვანელები) და სსო-ების წარმომადგენლები. საბჭო აღჭურვილია ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებული ფუნქციებითა და უფლებამოსილებებით. ახალი რეგულაციების თანახმად, სსო-ების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულოა.

3.11 სხვა მიგნებები და სიახლეები

სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი და სწრაფად განვითარებადი სექტორია საქართველოში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მზარდ ინტერესს იწვევს ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის თვალში. სოც-მეწარმეობის საუკეთესო გამოცდილება აჩვენებს, როგორ ეფექტურად შეუძლია საზოგადოებას სოციალური გამოწვევების დაძლევა სოციალური მეწარმეობის მეშვეობით. საქართველოში სოც-მეწარმეობას უმთავრესად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ახორციელებენ. სსო-ებისთვის სოც-მეწარმეობა ფინანსური მდგრადობის მიღწევისა და შენარჩუნების ერთგვარ მექანიზმად განიხილება. სწორედ ეს წარმოადგენს სამოქალაქო სექტორის უმთავრეს მოტივაციას სოც-მეწარმეობასთან მიმართებით. გარდა ამისა, სოც-მეწარმეობის პროექტების განხილვისას დონორებიც უპირატესობას სსო-ებს ანიჭებენ სხვადასხვა მიზეზის გამო. უპირველესად, დონორების მხრიდან აღნიშნულ დაინტერესებას განაპირობებს ის, გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გრანტის მიღების უფლება აქვთ სსო-ებს (ბიზნეს სექტორის მიმართ გათვალისწინებული გამონაკლისის ჩათვლით). მეორე მხრივ, დონორებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სადაც სოციალურ საკითხებზე ორიენტირება გარანტირებული იქნება მათი საქმიანობის მანძილზე. სწორედ ამიტომაც, რომ სსო-ები ყველაზე შესაფერის ორგანიზაციებად განიხილებიან სოციალური მეწარმეობისათვის. სოც-მეწარმეობის თემაზე საქართველოში ჩატარებული უახლესი კვლევის მიხედვით, 90 სოციალური საწარმოს 72% არასამეწარმეო იურიდიული პირია; ხოლო ინდივიდუალურ სოც-მეწარმეთა რიცხვი 3%-ია.¹²

საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის უნიფიცირებული საკანონმდებლო ცნება. ადგილობრივი ორგანიზაციები აღნიშნულ საქმიანობას მათი პროგრამების შინაარსისა და პრიორიტეტების მიხედვით განმარტავენ. საქართველოში არსებული სოციალური საწარმოები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მათი დიდი ნაწილი მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაზეა

¹¹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის #110 დადგენილება „საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ,” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0>

¹² სოციალური მეწარმეობა საქართველოში (საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა), http://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf

ორიენტირებული. სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად საქართველოში გარკვეული ინიციატივები განხორციელდა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. თუმცა, ამ მიმართულებით ერთიანი მიდგომა ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალური რეგულირებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს პარლამენტს ახლახანს წარედგინა საკანონმდებლო წინადადებებისა და ცვლილებების პაკეტი. საკანონმდებლო ინიციატივის პაკეტის ცენტრალურ დოკუმენტს წარმოადგენს „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტი ქმნის სამართლებრივ ბაზას სოციალური მეწარმეობის რეგულირების ხელშეწყობისთვის (მაგალითად, კანონპროექტი განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის ცნებას, სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭების წესს, საქმიანობის წინაპირობებს, მართვის სახეებს, სოც-მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებს და ა.შ). სოციალური მეწარმეობის შესახებ შემუშავებული პაკეტი ასევე მოიცავს ცვლილებების ინიცირებას შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ.“

2020 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებათა პაკეტი საქართველოს შრომის კოდექსში და მიიღო ახალი კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ.“ შემოთავაზებული ცვლილებებით დაწესდა დასაქმებულის დაცვის შედარებით მაღალი სტანდარტი და გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი. აღნიშნულ ცვლილებებს შესაბამისი გავლენა ექნება სსო-ების ფუნქციონირებაზეც.

IV. ძირითადი პრიორიტეტები

მთლიანობაში სსო-ების საარსებო გარემო არსებითად არ შეცვლილა. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაწესებული რეგულაციებით ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეული ნაწილი შეიზღუდა. აღნიშნული შეზღუდვები ეტაპობრივად იხსნებოდა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ პანდემიასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების პარალელურად. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაწესებული შეზღუდვების გამო ძირითადი მიმართულებების ადვოკატირების ტემპი მნიშვნელოვნად შენედა. თუმცა, კომუნიკაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან აღდგა და აქტიურია. მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩება. ნაწილი მათგანი კი იქნა მხედველობაში მიღებული. რეკომენდაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსში ასახული ესტონური მოდელის განხორციელების მხარდაჭერის თაობაზე განხორციელდა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა შეიმუშავა ონლაინ სწავლების კურსები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოებისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული ონლაინ სწავლების კურსი ფარავს აღნიშნული ორგანიზაციების სამართლებრივი, ფინანსური და საგადასახადო ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებულ თემებს. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოებისათვის შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელიც ასევე ფარავს აღნიშნული ორგანიზაციების სამართლებრივი, ფინანსური და საგადასახადო ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებულ თემებს. რეკომენდაცია სახელმწიფოს მიერ სსო-ების მხარდაჭერის კონცეფციის შემუშავების თაობაზე პროგრესის პროცესშია. დოკუმენტის ინიცირება პირველად 2018 წელს მოხდა და წარუმატებელი აღმოჩნდა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დაუღალავი მცდელობის შედეგად, კონცეფციის ხელახალი ინიცირება საქართველოს პარლამენტში 2020 წლის ივნისში განხორციელდა.

ადვოკატირების გეგმის უმთავრესი რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

- გრანტის გაცემის პროცედურების დახვეწა სახელმწიფო ხელისუფლების უწყებებისათვის ერთიანი საბაზისო პრინციპებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დაწესებით: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
- საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტების აღჭურვა გრანტის გაცემის უფლებამოსილებით: შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში;

- საქართველოს პარლამენტის მიერ სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ კანონპროექტისა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ინიცირებული ცვლილებების დამტკიცება.

V. წყაროები

კანონმდებლობა

- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=31>
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის # 181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0>
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის #35 დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/document/view/4776100?publication=0>
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/document/view/4877009?publication=71>
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის #110 დადგენილება „საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0>

სხვა წყაროები

- სოციალური მეწარმეობა საქართველოში (საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა), http://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>
- მსოფლიო ბანკი, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=GE>
- ფრიდომ ჰაუსი, <https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores>
- პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი, <https://rsf.org/en/ranking>
- CSO Georgia, <https://csogeorgia.org/ge/organizations/ngo?searchQuery=>

- 2019 წლის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მდგრადობის ინდექსი, https://storage.googleapis.com/cso-si-dashboard.appspot.com/Reports/CSOSI-Georgia-2019.pdf?fbclid=IwAR1csAuPNrNwaWxWqJ_mAl-pyAaMiQUZ9J2wlp-lqTH3dPJTz23pxKurasps

